# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ხ ე - ტ ყ ი ს ვ ა ჭ ა რ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულის სამმართველო აცხადებს, რომ ამ მამულის ხე-ტყის საწყობში ახალდაბასა, შავ-წყაროსა და ბორჯომში ისყიდება ალაგობრივ დიდ-ძალი ფიცრები, ფოშტის ხე, ყავარი, შპალები რკინის გზისათვის, დაწუნებული ტივის ხეები და სხვანი. მყიდველთ შეუძლიანთ მეტივეებს მოურიგდნენ და ამ ადგილებიდგან ტივებით ჩაიტანონ ნაყიდი საქონელი მდ. ტკვარზედ გომის სადგურამდე ანუ ტფილისამდე. პირობათა შეტყობა შეიძლება ყოველ დღე ბორჯომის მამულის კანტორაში.

ნ ა ვ თ ი ს მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ

იქავე ისყიდება 3 დაშლილი რკინის აუზი, რომელიც 10,000 ვედრას იტევს.

მამულის მმართველი ფ რ ო მ მ ი

(2—1)

ქუთაისში

(ივანოვის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში)

ამ ოქტომბრის 20 რიცხვიდგან დაარსდება

მოსამზადებელი სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ს. ი. ოცხელისა

(5—1)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიის შეერთებულმა კრებამ მდგომარე წლის 2 მაისს დაადგინა ქართული კრებულის გამოცემა დროგამოშვებით. კრებულში დაიბეჭდება სალიტერატურო და სამეცნიერო წერილები და სივრცით იქმნება არა ნაკლებ ათი თაბახისა (320 გვ.)

ვთხოვთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, თავის ნაწერები გამოუგზავნოს ამხანაგობას კრებულში დასაბეჭდათ.

მოწონებულს და კრებულში დაბეჭდილს რომანებში, მოთხრობებში და სამეცნიერო წერილებში ავტორთ მიეცემათ ნაბეჭდ თაბახში (32 გვერდი, გვერდზედ 27 სტრიქონი იქმნება 5×8 კვადრ.) არა ნაკლებ 18 მ. ლექსები და პოემები დაიბეჭდება სხვა პირობებით.

ხელნაწერებთან ერთად ავტორის მიერ გამოგზავნილი უნდა იქმნას წერილი პირობითურთ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Правленію грузинскаго Издательскаго Товарищества.

(10—1)


## ახალი ამბავი

*** ახალციხის ქალაქის მოურავი იუწყება: ახალქალაქს 23 სექტემბერიდგან 4 ოქტომბრამდე ავად არავინ გამხდარა. 5 ოქტომბერს ავად გახდა პეტრონია კარაპეტის ძე კუპალიანცი.

*** უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორმა მისწერა გუბერნატორებს, შემწეობა აღმოუჩინეთ პირველ დასაწყისის სკოლების გავრცელებასაო.

*** ჩვენს „წიგნების გამომცემელს ქართველთა ამხანაგობას“ ერთი ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს. ეს საქმეა ბეჭდვა დრო და დრო სალიტერატურო და სამეცნიერო კრებულისა. ამხანაგობას უნდა ჰბეჭდოს კრებულში, როგორც რომანები, მოთხრობანი და, საზოგადოდ, საბელეტრისტო ნაწერები, ისე სალიტერატურო და სამეცნიერო წერილებიც. თითო კრებული იქნება სივრცით არა ნაკლებ ათის თაბახისა, ანუ 160 ფურცლისა. ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიის შეერთებულს კრებას გადუწყვეტია აძლიოს მოწონებულსა და კრებულში დაბეჭდილ წერილების ავტორებს სასყიდელიც ანუ გონორარი. სჩანს, ამხანაგობას საკმაოდ გაუმაგრებია ზურგი, მტკიცე ნიადაგზე დაუყენებია თავისი საქმეები და იმდენად შეძლებული არის ახლა, რომ სალიტერატურო ორგანოს მზგავსის კრებულის ბეჭდვაც უნდა დაიწყოს. დაწყებაც დაწყებასა ჰქვიან! უნდა დაიწყოს ისე, როგორც წესია, ავტორებისათვის სასყიდლის და შრომის ფასის ძლევითა. უამისობა არც შეიძლება. ვიდრე ჩვენი მწერლობა ლუკმა პურს არ მისცემს სალიტერატურო მუშაკს, ვიდრე სალიტერატურო შრომასაც ფასი არ დაედება, მანამდე მწერლობა წარმატებაში ვერ შევა, ფეხს მაგრად ვერ მოიკიდებს. სიხარულით ვეგებებით ამ ამბავს და ვისურვებთ სულითა და გულით, რომ კეთილად წასულიყოს საქმე ამხანაგობის კრებულისა. გზა დაგვილოცნია ამ ჩვენის ახალის მოძმესათვის: ღმერთმა დიდი დღე და ჯანი მისცეს!

*** იმავე ამხანაგობას, როგორც შევიტყეთ, იმდენი აგენტები თურმე ჰყავს პროვინციაში და ანგარიშები ისე რთული შექმნილა, რომ გამგეობას საჭიროდ დაუნახავს ზოგიერთს აგენტთან თავისი წევრი ჰგზავნოს ხოლმე ანგარიშების შესამოწმებლადა და გასასწორებლად.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნი: „Золотой пѣтухъ“, თხზ. რაფისა, სომხურით თარგმნილი ბ-ნ ნ. ყარა-მურზას მიერ. ზემოხსენებული თხზულება მოთხრობაა ორ ნაწილად და გაზ. „Нов. Обоз.“-ში დაიბეჭდა ამ ზაფხულს ფელეტონებად. ახალი წიგნი იქიდამ არის გადმობეჭდილი, საკმაოდ ვრცელია და ჰღირს 1 მან.

*** ჩვენ მივიღეთ რუსულად დაბეჭდილი წესდება ნოქართა საურთიერთო კრედიტისა და დახმარების საზოგადოებისა ტფილისში (Уставъ Общества Взаимнго Кредита и Вспоможенія прикащиковъ въ г. Тифлисѣ). ეს წესდება ჯერ ისევ პროექტია და მთავრობამ უნდა დაამტკიცოს. მისი შემუშავება მინდობილი ჰქონდა ცალკე კომისიას, რომელმაც ამ პროექტის შედგენის დროს საფუძვლად მიიღო ამ გვარისავე საზოგადოების წესდება ხარკოვში და შესცვალა მხოლოდ ზოგიერთი ადგილი. რაკი ეს პროექტი უკვე დაიბეჭდა, ამ თთვეში მოწოდებული იქნება საზოგადო კრება და პროექტი წესდებისა გაიგზავნება დასამტკიცებლად, საცა ჯერ არს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ახალგაზდა ყმაწვილ კაცს გადაუთარგმნია ქართულად ჟივოტოვსკის წიგნაკი „სითბო და სიცივე“. ეს წიგნაკი ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

*** რუსეთის მთავარი ელჩი პეკინიდგან აცნობებს ფინანსთა მინისტრს, რომ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელს პირობა შეუკრავს როტშილდთან, რომელიც შეჰპირებია, ბაქოდგან ნავთს გამოგიგზავნითო.

*** ერთის წლის შემდეგ, სახელდობრ, მომავალ ენკენისთვეს გაუვავადა დაქირავებისა იმ შენობას, სადაც დღეს იმყოფება საგუბერნიო მმართველობა. ამისათვის წინადვე შეუდგნენ შესაფერის შენობის შოვნას, რადგან ეხლანდელი სახლი გენერალ-ტერ-ასატუროვისა ერევნის მოედანზედ არც საკმარისია და ისეთი ხმაურობა და ჟრია-

## ფელეტონი

### წერილი საჩხერედამ

მოსავალი ჩვენსკენ.—ფოსტის ფული.—სასარგებლო განკარგულება. — ბოშები.—დინამიტი და ახალი თევზი.—ზრდილობიანი „პრიკაშჩიკები“ ჭიათურ-შუქრუთში.—სამრევლო სკოლები და სამინისტროები.—ზაფხულში სჯობიან სწავლა თუ ზამთარში.—გ. წერეთლის „რუხი მგელი“.

ჩავიკალათეთ ყველაფერი. პური ჯერ იმერეთში საზოგადოდ ცოტა მოდის და წელს ხომ სულ არაფერი მოსულა; დაგვრჩა სიმინდი და ესეც გოლვამ მოხრუკა, მოსწყვიტა წელი და ესეც ნაკლებად მოგვივიდა. თუმცა სიმინდმა და პურმა გვიმტყუნა, მაგრამ ჩვენმა მაცხონებელმა ნუნუამ, რომელსაც საჩხერლები მელნათაცკი ხმარობენ, მოგვიმადლიერა. ასე რომ აწი სულ ღვინით სავსე ყანწებში შეიქნება ცურაობა და ვნახოთ, ვინ უფრო კაი ბიჭობას დაიჩემებს!

ჩვენში ერთად-ერთი სალაპარაკო ეხლა ფოსტის ფულის გადახდა არის. სხვა-და-სხვა გადასახადი, რომელიც სოფელს აწევს, ძლიერ უჭირვებს გლეხ-კაცობას საქმეს და ზოგჯერ თუ „ნედოიმკა“ ბევრია და ცუდი, მოუსავლიანი წელიწადიც არის. მართალია, სოფელი ღონიერია და ბევრი ღონიერი გლეხიც სცხოვრობს ყოველს სოფელში, მაგრამ ღონიერთან ულონოც ბევრი მოიპოვება და, თუ პირველს ერთის თუმნის გადახდა არ უჭირს, მეორეს ერთის მანათის შოვნის თავიც არა აქვს. რა ქნას ამისთანამ? ისევ იმას ირჩევს, მიადგეს ვისმე შეუბრალებელის და ძალა-უნებურად ვალში ჩავარდეს; სარგებელმა და თავნმა იბარტყოს და საწყალი კაცი წელში მოხარონ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამას წინად, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ერთი ფრიად საყურადღებო კანონი გამოიცა, რომლის ძალითაც დასჯილ უნდა იქმნას ყველა ის, ვინც გლეხის გაჭირვებით ისარგებლებს სახელმწიფო გადასახადის მოკრების დროსაო. ამ ბრძანებას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის ხალხის ქონებრივ წარმატების საქმეში და იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ კანონს ჯეროვანად განუმარტავენ ხალხს, ვისიც ჯერ არს და ტყუილუბრალოდ მძარცავ-მგლეჯავებს არაფერს გაატანებენ.

მართალია, შინაურობაშიაც ბევრი მძარცავ-მგლეჯავი ჰყავს სოფელს, მაგრამ გარედანაც არ აკლებენ ხელს. წარმოიდგინეთ, ბატონო, რა ხალხია ბოშები, ციგნები?! მაწანწალა და მომთაბარე, ჯერ ისერ პირვანდელ მდგომარეობაში არიან. გაზაფხულდება თუ არა, ამათ არც წერილით დაპატიჟება სჭირდებათ და არც კაცით, მობრძანდებიან ჩვენში და თავისუფალის იერიშით შებრძანდებიან, ყანა იქნება, თუ სავსე ვენახი. ალილოსავით ყოველს სოფელს ჩამოივლიან და სამ-სამი დღე მაინც თვითეულ სოფელში რჩებიან; აოხრებენ ყველაფერს ცხენით, ვირით, ჯორით, დიდით და პატარათი. ქურდობას ხომ ნუღარ მეტყვით: ქურდ-მეისტრები არიან. თუ გაეცით ხმა, სულ თავ-პირში დაგირთობენ პატარ-პატარა ყმაწვილებს, რომელნიც გუდებით ზურგზედ ჰკიდიათ და მათი გასროლ-გამოსროლა არც ენაღვლებათ. ასე რომ ყოველ ზაფხულში ჩვენი დაუპატიჟებელი სტუმრები ჩვენი ამაწიოკებლები არიან და ჩვენ-კი პირ-დაღებული უნდა შევცქეროდეთ.

რადგანაც ჩვენის მხრის ქონების მტერ-მოყვრობაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეგვიძლიან ერთი გარემოება უყურადღებოდ დავტოვოთ. მართალია, ნათქვამია, წყალში თევზი ვინ დააფასაო, მაგრამ, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ თუ წყალში თევზი არ გვეყოლება, არც თეფშზედ გვექნება და შემწვარის თევზით პირს ველარ ჩავიგემრიელებთ. ძლიერ გემრიელი თევზი იცის ჩვენმა ყვირია ყვირილამ. გემოიანია და მასთან, რაც წყალია, თავის შესაფერისად, ბევრიც. მდ. ყვირილას პირზედ სოფლებია გაშენებული, რომელთა უმეტესი ნაწილი მცხოვრებელთა ნახევარი ჯერ თითქმის თევზს ხმარობდნენ საჭამანდათ და ცოტ-ცოტას ისეც რჩებოდნენ და იოლად გამოდიოდნენ. ასე გახლდათ აქამდის და აწიც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ხუთი ექვსი წელიწადია მას აქეთ, რაც რაღაც თევზის სახოცი «დინამიტი» მოიგონეს და ბრალიანი და უბრალო ურახუნებს „დინამიდებს“, როგორც აქ ეძახიან, წყალში და უწყალოდ ჰხოცვენ თევზს. დახოცილი თევზი რომ ზევით ამოჰქონდეთ და თითონ სარგებლობდნენ, კიდევ მადლობა ღმერთს; მაგრამ რასაც ჰხოცვენ ეს ვაჟბატონები, მისი მეათედიც არ ამოაქვსთ ზევით და დანარჩენს-კი ბაყაყსა და გველებისთვის თუ ქლეტენ, თორემ აბა რათ უნდათ. ამ „დინამიდებმა“ და „ბომბებმა“ ჩვენ მდინარე წყალში სწორედ ამოსწყვიტა თევზი და ლამის სინსილაც აღარ გაუშვას. ამბობენ, რომ როცა ყვირილაში თევზი გამოილევაო, მერე ეს ვაჟ-ბატონები ტბებს მიმართავენ და ბაყაყებსა და ვაკარებს დაუწყებენ „ბომბების“ სროლას. რატომაც არა, ბატონო, მოცალეობა არ არის თუ?! ურიგო არ იქნება, ჩვენის ფიქრით, ჩვენმა მეთაურმა კაცებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ და ერთ ხელვე „ბომბით თევზის ხოცვა მოსპონ, მით უმეტეს, რომ „ბომბით“ თევზის ჭერა კანონის ძალითაც აღკრძალულია.

პოეტმა სთქვა, „გმირი იმერი ზრდილობითა“ და მართლაც გმირებათ უნდა ჩაითვალონ იმერლები ზრდილობაში, მაგრამ ესევე არ შეგვიძლია ვსთქვათ საჩხერის, ჭიათურის და შუქრუთის ვაჭართა და შავი-ქვის ნოქართა, ესრედ წოდებულ „პრიკაშჩიკთა“ შესახებ და უფრო „პრიკაშჩიკთა“ შესახებ. ძვირად გავა კაცი საჩხერეში, ჭიათურსა და შუქრუთში, რომ არაფერი უსიამოვნება არ ნახოს, რასაკვირველია, თუ ხმალზედ არ დგახარ და, თუ ხმალზედ დგახარ, მაშინ-კი კრინტსაც ვერავინ დასძრამს. ჭიათურაში თუ მდედრთა წარმომადგენელს ათი ცხენოსანი კაცი მაინც არ ახლავს, სულ ჩაკაპიწებული ხმლი-

მულიც არის ხოლმე ქარვასლის წინ, რომ ხშირად იძულებულნი არიან შეაჩერონ კრება, სანამ ხმაურობა შესწყდება. ამას გარდა, ბ-ნ გუბერნატორის კანცელარია სხვა შენობაშია მოთავსებული, რის გამოც უბრალო ცნობა რომ სჭირდებოდეთ ან კანცელარიას, ან საგუბერნიო მმართველობას, ცალკე მოხელეები უნდა ჰგზავნონ და ამასობაში ბევრი დრო იკარგება.

ყველა ამ მიზეზის გამო საგუბერნიო მთავრობამ გადასწყვიტა იქირაოს 24 წლის ვადით იმისთანა შენობა, რომელიც ყველა ზემორე ხსენებულ უხერხულობას თავიდამ ააცილებს. როდესაც ხმა გავარდა, რომ საგუბერნიო მმართველობას სახლი სჭირდებაო, ყველაზედ უწინარეს ნ. გ. ყორღანოვმა შემოიტანა თხოვნა, დაიქირავეთ ჩემი სახლი, სადაც ეხლა არის მოთავსებული საапელაციო განყოფილება ტფილისის ოლქის სასამართლოსიო. პირობა შეიკრა ბ-ნ ყორღანოვთან; ეს პირობა შინაგან საქმეთა მინისტრმაც მოიწონა, მაგრამ შემდეგ საგუბერნიო მმართველობის ტეხნიკებმა და ბოლოს განსაკუთრებით მოწვეულმა ტეხნიკებმაც სცნეს, რომ ბ-ნ ყორღანოვის შენობა ვერ დააკმაყოფილებს ყოველს საჭიროებასაო, და საქმე ჩაიშალა.

ეხლა საგუბერნიო მმართველობის შენობათა განყოფილების ტეხნიკები ადგენენ იმის ქაღალდს, თუ რა გვარი შენობაა საჭირო. ეს ქაღალდი გამოცხადდება აქაურს გაზეთებში და ვინც უკეთესს გეგმას წარმოადგენს და ნაკლებს ფასს მოითხოვს ქირად, უპირატესობაც იმ სახლის პატრონს მიეცემა. ამბობენ, ტფილისის შეძლებული კაცები ბ-ნი ჩითახოვი და ფრიდონოვი კისრულობენ თავ-თავიანთ გეგმის წარმოდგენასაო.

⁂ ერთმა განჯიდგან ჩამოსულმა ქალმა 12 ოქტომბერს ტფილისში სხვა-და-სხვა ნივთეულობა იყიდა, შემდეგ დაიქირავა ეტლი ერევნის მოედანზედ, ჩაალაგა თავისი ნავაჭრი ეტლში და თითონ ეს ქალი შებრუნდა ერთს მაღაზიაში. როდესაც გამოვიდა მაღაზიიდგან, ეტლი აღარა სჩანდა. ბევრი ეძებეს ეს ატლი, მაგრამ ველარ იპოვნეს.

⁂ შარშან სომხურ ჟურნალს „მურჩში“ იბეჭდებოდა თხზულება თ. [illegible]ილ. ჭავჭავაძისა „კაცი-ადამიანი“, სომხურად ნათარგმნი. წელს-კი ამავე ჟურნალში იბეჭდება მოჩხუბარიძის მოთხრობა „ელისო“.

⁂ ფოთი: ხოლერის გამო დრეიფუსის კანტორა იძულებული შეიქმნა შეეჩერებინა საწყობში ორის თვით 250 ათასი ფუთი სიმინდი. ეს სიმინდი ორჯელ გაანიავეს და ეს განიავება ძლიერ ძვირად ჯდებოდა, რადგანაც მუშები არ იშოვებოდა და თუ იშოვებოდა, თითო მუშა დღეში ხუთ მანათ ნაკლებ არა მუშაობდა. თუმცა სიმინდს ანიავებდნენ და ჰფენდნენ, მაინც გაფუჭდა და ფუთზედ ორი შაური დააკლდა ფასი. რადგანაც სულ სიმინდი 250 ათასი ფუთი იყო ამიტომ შესამჩნევი ზარალი მოუტანა ხსენებულს კანტორას.

⁂ სოფ. იგუეთი: შარშან ქალის ხეობაზედ ოსებში და ზოგან ქართველთა სოფლებშიაც მოდებული იყო საქონლის ავადმყოფობა „ხარის ყვავილი“ და ჰხოცავდა როგორც სხვილ საქონელსა, ისე ცხვარსაც. მცხოვრებლები, იმისდა მიუხედავად, რომ ეს სენი გადამდებია, მაინც ავადმყოფს საქონელს არ ერიდებოდნენ, ატყავებდნენ, ტყავს ქალამანად და ღვედ-სამატების დასაწნავად ჰხმარობდნენ, ხორცს—საჭმელად. ზამთარში ავადმყოფობა შესწყდა. მაისსა და თიბათვეში ისევ გაძლიერდა და მოედო ისეთს პატარა სოფლებს, როგორიც იგუეთია, სამთავისი, ბოჟამი და სხვ. რადგანაც ხალხი ავადმყოფს საქონელს არ უფრთხილდებოდა და ხორცსა და ტყავს შარშანდელივით ხმარობდა, ამიტომ არამც თუ საქონელი გაუწყდათ, თითონაც დახდნენ ავად, ზოგს სახლში სამი-ოთხი სული. სულ ორის თვის განმავლობაში სოფელ იგუეთში ცხრა ქალი და კაცი გახდა ავად. სამთავისში, სადაც იგუეთიდგან გადმოვიდა სენი, ერთს თვეში ექვსი გახდა ავად და ამათში ერთი გლეხ-კაცი გარდაიცვალა, რომელსაც დარჩა ხუთი სული წვრილ-შვილი. ამ ობლებს არა აქვთ არც სახნავი, არც ვენახი. გარდაცვლილს გლეხ-კაცს სიცოცხლეშივე გადმოეტანა სოფ. იგუეთიდგან სენიან საქონლის გამხმარი ტყავი საქალამნედ. ვისაც დაეჭრა, ისიც გახდა ავად და ძლივს მორჩა. თითონ ამოისხა ქალამნები, ყვავილი გამოაჩნდა და ორ დღეზედ გარდაიცვალა.

⁂ გურია. ჩვენი გლეხ-კაცობა ამ ჟამად „ტეხა-კრეფას“ თითქმის სრულიად მორჩა. მთელის წლის მონაგარი სიმინდი, ღომი, ყურძენი სულ მთლად მოაგროვა და შეინახა. წრევანდელ მოსავალს ვერას დავემდურებით. უხვად მოგვივიდა როგორც ღომი და სიმინდი, აგრეთვე „ადესას“ ყურძენი. ამ უკანასკნელის უხვად მოსვლის მიზეზი გვგონია ის უნდა იყოს, რომ წელს გურიაში ყურძნის გამანადგურებელი ქარები იშვიათი იყო.

⁂ ლანჩხუთი (ოზურგეთის მაზრა): როგორც „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენს სოფელში, სხვა სკოლებს გარდა, ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლაცაა დაარსებული და ორი მასწავლებელიცა გვყავს. მაგრამ სკოლაში ადგილის უქონლობის გამო ბევრი ყმაწვილი რჩებოდა მიუღებელი და მშობლებს შორის მუდამ ჩივილი და გოდება გაისმოდა: „რათ გვინდა სკოლა, ბატონო, თუ ჩვენს შვილებს ვერ მივაბარებთო. რეიზა შევალიეთ ჯანი და ღონე ამხელა შენობის აგებას, თუ ვერაფერ სარგებლობას ვერ ვნახავდითო“ და სხ. ივლისის თვეში ჩვენმა საზოგადოებამ განიზრახა მესამე მასწავლებელიც მოეწვია და ცალკე სახლიც აეგო. ამ ჟამად საზოგადოებამ ეს განზრახვა უკვე შეასრულა დაიქირავა სასკოლო სახლი და მესამე მასწავლებელიც მოიწვია.

⁂ სუფსა: 3 ოქტომბერს აქ შემდეგი ამბავი მოხდა: სუფსადგან ფოთს მიმავალის გზით მიდიოდა სამი ცხენოსანი და მათ შორის ს. ჩოჩხათის მცხოვრები, გვარად თავართქილაძე. უცებ საიდგანღაც გავარდა თოფი, მოხვდა თავართქილაძეს და სასიკვდილოდ დაიჭრა მხედარიცა და ცხენიც. დაჭრილმა კაცმა და ცხენმა ამას შემდეგ სამი საათი კიდევ იცოცხლეს. სიკვდილის დროს თავართქილაძემ დაასახელა ერთი კაცი, უთუოდ ის მომკლავდაო. მართლაც ეს დასახელებული კაცი (მეგრელი) მივიდა და პოლიციას გამოუცხადა, რომ თავართქილაძე მე მოვკალ, იმიტომ რომ ცხენი მომპარა და შინ მიჰყავდაო.

⁂ მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, სუხუმის ეპისკოპოსის აგათოდორეს განკარგულებით, ქ. სუხუმ-კალეში წარსულს აგვისტოს ექვსს რიცხვს მისის ყოვლად უსამღვდელოესობის სადგომში კურთხეულ იქმნა სუხუმის საეკკლესიო-საარხეოლოგიო კომისია. ამა კომისიის ნამდვილ წევრებად, დეკანოზის დავით მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, ირიცხებიან: სუხუმის ოლქის მმართველი, კაპიტანი მიხეილ ანდრიას ძე დე-სიმონი; სუხუმის ოლქის უფროსის უმცროსი თანაშემწე, პორუჩიკი ბორის დიმიტრისძე დიმიტრიევი; სუხუმის სამთო სასწავლებლის ზედამხედველი, კონსტანტინე დავითის ძე მაჭავარიანი და ვლადიმირ ივანეს ძე ჩერნიავსკი. ეს უკანასკნელი კომისიის წევრთაგანი, ბ-ნი ჩერნიავსკი, კომისიის მიერ თავის მდივნად არის ამორჩეული („საქ. საექ. სასულიერო მოამბე“).

⁂ 12 ამ თვისას ხიდზედ მიმავალი ეტლი დაეჯახა სომხის სკოლის მოწაფეს 12 წლის მინასა არაქელიანცს და მსუბუქად დააშავა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, ხოლო ეტლის პატრონი სტეფანე პლეტკინი პასუხის გებაში მისცეს.

⁂ იმავე დღეს სერგეის ქუჩაზედ არღუთინსკი-დოლგორუკის სახლში შუშას მცხოვრებელის ქვრივმა რიფსიმე ხანდამიროვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა მზარეულმა ოჰანეზ ხაჩატუროვმა ამ თვის პირველს 60 მან. ღირებული სხვა-და-სხვა ავეჯი მომპარაო. დამნაშავე შეიპყრეს, მოპარული ნივთები იპოვნეს და პატრონს დაუბრუნეს.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესის ბრძანებით, 28 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა კიევის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბ-ნი ვრასსკი.

## ტფილისის ბაზარი

ნახშირი. ფუთობით 30—35 კაპ., ტომრობით—1 მ. 30 კ.—1 მ. 40 კ., ქვის-ნახშირი 25—28 კ.

შეშა. ქართული ურემი შეშა 2—5 მ., თათრული ურემი 6—9 მ., დაჭრილი შეშა რკინის გზის სადგურის მახლობელ საწყობებში კუბიკური საჟენი შეშა—33—34 მ. მოტანა 3—4 მ. ჯდება თითო საჟენი.

ხე-ტყე. სართულის კოჭი სისქით 1 გოჯი და 12 ადლის სიგრძე 30 კ., ფიცარი იმავე ზომისა—35 კ. თხელი ფიცარი (шелевки) 6 გოჯი სიგანით და 12 ადლისიგრძით—90 კ., ფიცარი სისქით ნახევარი გოჯი, სიგანით 6 გოჯი და სიგრძით 12 ადლი—1 მ. 50 კ.

შინაური ფრინველები. ცოცხალი ინდაური 50—60 კ., წყვილი წიწილა—20—25 კ. დედალი 40—45 კ., ბატი 60—68 კაპ.

ხიზილალა. 50, 60 და 80 კ. გირ.

დოში. გირვანქა ჰღირს 30—35 კ.,

თა და ხანჯლით, შეუძლებელია გაიაროს დუქნებში იქაურ „პრიკაშჩიკთა“ მშვენიერია ზრდილობის წყალობით. ასე რომ რაღა ბაზასხანის გაქლესილი ბიჭები რაღა ეს ჩვენი „ვაჟბატონები“... უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩაცვინული შავი-ქვის „პრიკაშჩიკთა“ ბაროზით საწყალი მეურმეები. ქართლიდგან ასი ურემი მეტი წამოვა ხოლმე ერთად შავი-ქვის გომში წასაღებათ. „პრიკაშჩიკები“ სოფლის თავშივე უცდიან ყველანი ერთად ურემს. დაინახამენ თუ არა და იგრიალებს ამოდენა ხალხი და ყველა ერთ წინა ურემზედ შეხტება: ისიც უძახის და მიათრევს, ჩემი ქვა წეიღეო, ისიც და ისიც; მეურმე გაფაციცებაშია: რა ქნას, არ იცის. თუ გაუწყრა ღმერთი და გადუხვია რომელსამე საწყობისაკენ, ვაი იმისი ბრალი, ზოგი სილას ურტყამს, ზოგი ჯოხს და ზოგიც—ურემსა და კაბეჩებს უჩეხავს. თუ გამოიმეტა საწყალმა თავიდა შოლტი მაინც მოიქნია, იქნება შემოირეკოს თავს დასხმულნი, მაგრამ ყველას ერთი გული ხომ არა აქვს; ხანჯლიან კაცთან ჩხუბს ეხუმრებით? მერე არ ვფიქრობ და არც საფიქრებელია, ასეთი ყოფა-ქცევა „პრიკაშჩიკთა“ მათმა ბატონებმა მოიწონონ, და ან კიდეც რომ მოიწიონონ, რა მოგება დარჩებათ საწყალკაცის ცემითა და ხარ-კამეჩის დაჩეხვით; იმედია, აწი მაინც ჯეროვან დარიგებას მისცემენ თავიანთ „პრიკაშჩიკთა“ და აიცილებენ თავიდგან ტყუილ-უბრალოზედ ჩხუბსა და ვაივაგლახს.

მოგეხსენებათ, რომ ამ ხუთი-ექვსი წლის წინად სამრევლო სკოლები საზოგადოდ იმერეთში და კერძოდ ზემო-იმერეთში კარგად ბარტყობდნენ და პატარა ხანს მუყაითადაც ეკიდებოდნენ იმ სკოლებში საქმეს. სამინისტრო სკოლებიდგან გამოჰყავდათ ყმაწვილები და სამრევლო სკოლებში შეჰყავდათ, ეგონათ, უფრო ნასწავლი შვილები გამოგვივაო, მაგრამ ამ ბოლოს დროს რაღაც სხვა ნაირად დატრიალდა სამრევლო სკოლების საქმე ჩვენში და მათმა მუშტარმაც ძრიელ იკლო. უწინ თუ სამრევლო სკოლაში ორმოცსა და სამოც ყმაწვილს ჰნახავდით, ეხლა ამავე სკოლაში ხუთი ყმაწვილიც არა ზის და ზოგან ხომ სულ გამოკეტილია კარები. მაგალითად ავიღოთ საჩხერის სკოლა. „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რა ამბით მიეგებნენ საჩხერელები საჩხერეში სამაგალითო სამრევლო სკოლის გამართვას. ასე გასინჯეთ, ოცი მანათი მარტო ზარბაზნის გასროლაში დაეხარჯათ! დიდი იმედიც ჰქონდა საჩხერის საზოგადოებას, მაგრამ ამ ბოლოს დროს იმისმა მუშტარმაც იკლო და შარშან მთელის წლის განმავლობაში ხუთი თთვე არ ყოფილა სწავლა. სულ სხვა ნაირს სურათს წარმოადგენენ სამინისტროს სკოლები. საცა უწინ ხუთი ყმაწვილი არ იჯდა სკოლაში, ეხლა იქ სამოცამდე ყმაწვილი ზის და მუყაითადაც ეკიდებიან თავიანთ წმინდა მოვალეობას. ასე თუ უმუყაითეს სკოლებს, იმედია, ორი სამი წლის შემდეგ გაიმართება წელში სამინისტროს სასოფლო სკოლები. ზემო იმერეთში ქორეთისა და პერევისის სკოლებისთანა სახელ გატეხილი სკოლა სულ არ ყოფილა, მაგრამ ახლა რომ შებძანდეთ, სწორედ გესიამოვნებათ პატარა ყმაწვილების ჭიკჭიკი, რიცხვითაც ხომ სამოც-სამოცი სხედან თვითოეულ სკოლაში.

ისიც მოგეხსენებათ, რომ წელს სასულიერო სასწავლებლებში საზაფხულოდ 4 ივნისს დაითხოვეს შაგირდები და სამ ოქტომბრისათვისკი დაიბარეს ხოლერის მიზეზით. ჩვენმა სამრევლო სკოლებმაც ამათ წაბაძეს და ოთხ ივნისიდგან მოკიდებული დღესაც არ არის სწავლა დაწყებული და მგონი არც იმ კვირაში იქმნეს. მშობლები ჩივიან: ხუთი თთვეა ბატონო, სწავლა არ ყოფილა სკოლაშიო და სწავლის ფული-კი რა ხანია გადავიხადეთო. თუ წამხედურობა არის, ჩვენ ქალაქის წამხედურობა არას გვარგია და წამხედურობამ წამწყმინდაო, რომ იტყვიან, ისე მოგვივა ჩვენც; ქალაქებში და ზოგან სოფლებში თუ ყმაწვილებს ითხოვენ და წელს ადრე დაითხოვეს და გვიან დაიბარეს ყმაწვილები, ეს იმიტომ მოხდა, რომ იქ ან ხოლერა იყო და ან ძალიან ცხელოდა და ჩვენში-კი არც ერთი ყოფილა და არც მეორე: არც ხოლერა ყოფილა და არც მისი სიმამრი. ჩვენი მხარე მაინც გრილი მხარეა სხვასთან შედარებით; ამიტომაც აქ ზაფხულობით სწავლის შეჩერება, ყმაწვილების საორთველოდ დათხოვნა არ ივარგებს. ზამთრობით, როგორც სამინისტრო სკოლებშია შემოღებული, ორ თთვეს უნდა იქმნეს ყმაწვილების დათხოვნა საორთველოდ, თორემ ჩვენ იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენს ყმაწვილებს კარგად ჩავაცვათ; ფეხ-შიშველიც ბევრი დადის სკოლაში, და შიშველტიტველ ყმაწვილებს სად შეუძლიანთ იმისთანა ქარ-ბუქში სიარული, როგორიც ჩვენში ზამთრობით იცის.

ამდენ არა სასიამოვნო ამბავს ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა დაუმატოთ. დიდი ლაპარაკი ასტეხა ჩვენში „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემულმა პატარა მოთხრობამ, გიორგი წერეთლის „რუხმა მგელმა“. ეს მოთხრობა იმერეთს შეეხება საზოგადოდ და უფრო-კი ჩვენის კუთხის წურბელათა და სწორედ ჩვენის ცხოვრების დასურათხატებაა. ამითი აიხსნება, რომ ამ წიგნს ბევრი მუშტარი ჰყავს ჩვენში და, ასე გასინჯეთ, პატარა ყმაწვილებმაც-კი დაისწავლეს გმირების სახელები და გაიძახიან, ავთანდილი ეს არის და სამსონ ქიბიაშვილი ესაო; რასაკვირველია ყმაწვილს წიგნის კითხვა უნდა, მაგრამ ეს პატარა წიგნი ისე გაიტაცეს იქით-აქეთ, რომ, რომელმაც თვითონ არ იცოდა კითხვა, სხვას აკითხვებდნენ და სიამოვნებით ყურს უგდებდნენ. ეხლა ბევრს ოჯახში სულ სათითაოდ ჩამოგითვლიან ჩვენს ავთანდილებსა და სამსონ ქიბიაშვილებს. ქალებზედ ხომ რა-ღა უნდა მოგახსენოთ; პირველ შეხვედრაზედვე ერთმანეთს ამას ეუბნებიან, „ძალიან გოულანძღავს, შენ ნუ მომიკვდე, ამ გიორგი ექვთიმეს შვილს ჩვენი სამსონი და ავთანდილიო“. „საწიოკე“ მთა ხომ ერთი ჩვენი ჭალის მთა არისო. ჭალის მთას გარდა სხვაც ბევრია, მართალია, ჩვენში მთა, მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ და ეხლა მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ამისთანა წიგნებს დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენში და წიგნის ბაზარიც გადიდდება.

ს. ნ. წერეთელი

ზურგიელი ზუთხისა პირველ ხარისხისა—40 კ., მეორე ხარისხის 25—30 კ., წელა 1 მ.

ღვინო. ღვინის მოსავალი წელს კარგი არის და ამისთვის ფასიც ნაკლები აქვს. მაგალითად თუნგს 40—50 კ. იყიდით. ძლიერ კარგს ღვინოს იშოვით თუნგს 80 კ.

მუშა. დღიური მუშა იშოვება 40—50 კ., დურგალი 1 მ.—1 მ. 20 კ. მხატვარი 1 მ. 20 კ.—1 მ.—40 კ. დროგი ქირით დღიურად 2 მ., 2—60 კ. ჰლირს დღეში. პოვოსკა 1 მ. 60 კ.

---

## ქართული თეატრი

„თელაველი ოტელო“, დრამა 4 მოქმედ., თხზ. ან. ბენაშვილისა *).

ეხლა მომაგონდა, სიცოცხლით სავსე და ხელოვნებით დაწერილი არტემასა და სოფოს სცენა, რომელშიაც არტემას ვერ გაუბედნია გამოუმჟღავნოს სოფოს, რომ მიყვარხარო. ბოდიშს ვიხდი; იქნება კიდევ რამ დამავიწყდა; მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. უმთავრესი ნაკლულევანებაც ამ პიესისა ისაა, რომ პიესა მთელი არ არის ➀ მის მოსართავად აქა-იქ ჩამატებულია წითელ-ყვითელი ნაჭრები, რომელიც თვალს უჭრელებს მაყურებელს, ფერს უკარგავს თვით უმთავრეს ჩაცმულობას პიესისას. ამიტომ მთლიანი, ერთიანი გრძნობა არ ებადება მაყურებელს. რა საჭირონი არიან, მაგალითად, თალალა, სოფო, ორიორთა, სოლომანა, ერთის სიტყვით, ყველანი, გარდა ვანოსი, ნუშოსი და არტემასი. თუ გაჭირდეს, კეკაც მიუმატოთ ამ სამს და კმარა; სხვები-კი იმ მოქმედებით, რომლითაც პიესაში გამოდიან, სულ მეტნი და უმნიშვნელონი არიან. როდესაც ავტორს განზრახვა აქვს იმ ნაირი ადამიანი წარმოგვიდგინოს, რომელმაც უნდა შეიპყროს მაყურებელის ყურადღება, მაშინ ეს ადამიანი თავდაპირველად ისეთს განსაკუთრებულს მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ მისი ბედ-იღბალი, თავ-გადასავალი რაიმე მიზეზით უკავშირდებოდეს ყოველსავე იმას, რაც მის გარშემო სწარმოებს; ყოველი გარეშე მოქმედება, ცოტად თუ ბევრად, პიესის უმთავრესის გმირის დასახასიათებლად უნდა ვარგოდეს და მაყურებელს არ უნდა ეკარგებოდეს ის ძაფი, რომლითაც გადაბმულია ბედ-იღბალი გმირისა და მოქმედება მის გარშემო მყოფთა. დაუვიწყარია „ჰამლეტში“, ერთის წამით სცენაზე გამოსულნი, დედოფლისგან გამოგზავნილნი კაცნი, რომელთაც ჰამლეტი ჩასციებია, ფლეიტა დაუკარითო; დაუვიწყარია სცენა „ოტელოში“—მეომართა ჩხუბი, რომელსაც ოტელო მოუსწრებს, და „თელაველ ოტელოში“-კი მთელი მოქმედებანიც-კი ავიწყდება ადამიანს; ან თუ მოაგონდა რომელიმე სცენა, არ იცის, მეორე მოქმედებას ეკუთვნის, მესამესა, თუ პირველს, ან მეოთხეს. რა იქნებოდა მოხსენებული სცენები, თუ ჰამლეტი ჰამლეტად არ ყოფილიყო და ის მეგობრად მოსულნი დედოფლისაგან რომ არ ყოფილიყვნენ გამოგზავნილნი. რა მნიშვნელობა ექნებოდა მთვრალ მეომართა ჩხუბს, რომ ეს ჩხუბი არ მომხდარიყო იმ სახლის წინ, სადაც ოტელო თავის საყვარელთან განისვენებდა, და რომ ოტელო-გმირს არ მოეღო ბოლო ამ ჩხუბისათვის? არაფერი. და „თელაველ ოტელოს“ მოქმედთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ პიესაში, რადგანაც მათი მოქმედება სრულიად არ არის პირდაპირ დაკავშირებული ვანოს ბედ-იღბალთან. იქნება სოფო და თალალა ოთხივ მოქმედებაში იმიტომ ტრიალებენ, რომ ბოლოს არტემას შეუყვარდეს სოფო და კავკავში არ წავიდეს... მაგრამ პიესისათვის რა საჭიროა ეს სიყვარული? განა ვანოსთვის სულ ერთი არ არის, დარჩება არტემა თუ წავა? ან მეორე მოქმედებაში სტუმრიანობა რა საჭირო იყო? იქნება იმიტომ, რომ ჰორის ნიმუში ვნახოთ,—ეს ხომ არ ახალია, ძველია. ჩვენ პირველ მოქმედებაშივე გავიგეთ ჰორიც და მისი ხასიათიც და უფრო მეტად, ვიდრე მეორე მოქმედებაში. ის კინტოები, მედუქნეები რაღა საჭირონი იყვნენ? იქნება იმიტომ, რომ მათ შორის იაგორა გვენახა? მაგრამ იაგორამ რა სთქვა, რა მოიქმედა იმაზედ მეტი, რაც თვით ვანომ პირველ მოქმედებაში არ გვაცნობა? აკი ვანომ გვითხრა, რომ ნუშოზედ მოგონილ სიმღერას მღერიანო. რა საჭირო იყო გვცოდნოდა ამ სიმღერის კილო, მერე იაგორას ხმით ნათქვამი. ამას გარდა, მწვანე იაგორა რომ არ მენახა, საშინელი ბოროტი კაცი მეგონებოდა, ისეთი ბოროტი, რომელსაც სიკვდილს მიუსაჯავდი. ხოლო როცა ვნახე, სწორე მოგახსენოთ, შემეცოდა: სამწუხაროდ, არიან იმ ნაირი ადამიანები, რომელნიც მატლსავით დაღოღავენ და ამ ნაირ მატლს კაცი ფრთხილად ექცევა, რადგანაც ეზიზღება ფეხი დაადგას და გასჭყლიტოს. გმირი, რომელსაც მთელი ჩვენი თანაგრძნობა ეკუთვნის, მცირდება, როდესაც ან შეუბრალებლად გასრესს ამ მატლს და ან კიდევ უძლურად ემორჩილება მისს გავლენასა და მოქმედებას.

იაგო „ოტელოში“ ბოროტი კაცია; იაგორა-კი „თელაველს ოტელოში“ საზიზღარი მატლია. ადამიანს კაცობა ატყვია მაშინ, როდესაც იმის გონებას, ზნეობასა და ხასიათს რაიმე ზომა აქვს; როდესაც-კი ამ ზომაზედ დაბლა სდგას, ჰკარგავს ადამიანის სახელს და შესაბრალისია იმდენად, რამდენადაც პირუტყვი, ღვთიურის სახის შეურაცხმყოფელი. ამიტომაც საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსი სარსე, შეიძლება გულ-წრფელად ამბობდა, რომ ტოლსტოის პიესის „Власть тьмы“ მომქმედნი არც ერთს იმ ნაირ გრძნობას არ ჰბადავენ, რომელიც უნდა დაჰბადოს ადამიანის მოქმედებამაო.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 216.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „Рус. Вѣд.“-ში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობანი რუსეთში სწავლა-განათლების შესახებ. ამ უკანასკნელს დროსაო, სწერს გაზეთი, მომეტებული ყურადღება მიაქციეს რუსეთში სკოლების საქმეს. ეჭვი არ არის, რომ ამ 30 წლის განმავლობაში სკოლების რიცხვს ძლიერ მოემატა, წერა-კითხვა მეტმა ისწავლა, მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან, ეს ვიკმაროთო, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრი გაუნათლებელი და უსწავლელი ხალხია რუსეთში: ოფიციალურ ცნობით 1886 წელს ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში 82 მილიონ ხალხზედ 39,000 პირველ დასაწყისი სკოლა იყო, რომლებშიაც 2 მილიონი მოწაფე სწავლობდა, ე. ი. 2,000 მცხოვრებზედ ერთი სკოლა იყო და 40 მცხოვრებში მხოლოდ ერთი სწავლობდა წერა-კითხვას. ეჭვი არ არის, რომ 1886 წელს აქეთ რუსეთში სკოლების რიცხვს მოემატა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მას აქეთ მცხოვრებთა რაოდენობაც გამრავლდა და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ

უკანასკნელის 30 წლის განმავლობაში რუსეთში დაარსდა რამდენიმე ათასი სკოლა, მოწაფეთა რიცხვს რამდენიმე ათი ათასი მოემატა, მაგრამ მაინც რამდენიმე მილიონი ყმაწვილი რჩება უსწავლელად, რადგანაც რუსეთის მცხოვრებთა რიცხვს ყოველ წლივ $1^1/_2$ მილიონზედ მეტი ხალხი ემატება. ყოველ წლივ რუსეთში 200,000-მდე ყმაწვილი უსწავლელადა რჩება სკოლების უქონლობისა გამო და ამ 200,000 ყმაწვილისთვის სკოლები უნდა გაიმართოს.

ყოველ წლივ სწავლის დაწყების დროს, ე. ი. სექტემბერში, ყოველ მხრიდგან საჩივარი და გოდება გაისმის მშობლების მხრივ, რომ ჩვენი შვილი სკოლაში არ მიიღესო. ასეთი საჩივარი გაზეთებშიაც გაისმის და ყოველ შემოდგომას ყველა ქალაქში ასობით რჩებიან ყმაწვილები უსკოლოდა და უსწავლელად. ქ. ოდესის სკოლების შარშანდელის წლის ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ოდესის სამოქალაქო სასწავლებლებში 2,805 ყმაწვილს მიეცა თხოვნა სასწავლებელში მიღებისა; ამ რიცხვიდგან სკოლებში მიუღიათ 1,488 ყმაწვილი და 1,317 ყმაწვილისთვის-კი უარი უთქვამთ სკოლაში მიღებისა. ამას წინად გაზ. «Виленскій Вѣстникъ»-ში დაბეჭდილი იყო: მისაღებ ეგზამენების შემდეგ ქუჩაში ვნახეთ ასობით დაღონებული მშობლები, რომელნიც სკოლიდგან ნამტირალნი მოდიოდნენ თავის სახლებისკენ: არ მიიღეს ჩემი შვილი, ადგილი არ არისო, გაიძახოდნენ გულ-მოკლულნი და გულ-ჩათუთქული მშობლები.

ევროპიის ყველა სახელმწიფოში დიდი ხანია რაც პირველ დასაწყისი სწავლა ყველასთვის სავალდებულოა. თუ რუსეთშიაც ჯერჯერობით შეუძლებელია სავალდებულო სწავლის შემოღება, ის მაინც საჭიროა, რომ სწავლა-განათლების საქმეს, რაც შეიძლება, მეტი ყურადღება მიაქციონ, რომ სწავლის მსურველნი უსკოლობის გამო უსწავლელნი არა რჩებოდნენ. ხოლერიანობის დროს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში მომხდარ უწესოებამ ნათლად გვიჩვენა, რამდენად საჭიროა რუსეთში, რაც შეიძლება მეტი სკოლა დაარსდეს, რომ ხალხმა ცოტა რამ მაინც შეიგნოს სწავლა-განათლებისა.

---

## რუსეთი

რუსეთის ნიჭიერი მწერალი გ. ი. უსპენსკი სულით ავადმყოფია. აქამდე პეტერბურგის სამკურნალოში იმყოფებოდა და ექიმი ფრეი სწამლობდა. ახლა, რუსულ გაზეთების სიტყვით, ავადმყოფი მწერალი გადუყვანიათ „კოლტოვის სამკურნალოში“, რომელიც ნოვგოროდის ერობას ეკუთვნის და რომლის უფროსი ექიმიც მწერალის დიდი თაყვანის-მცემელი კაცია, ექიმი სიპანო.

— რუსეთის სახელმწიფოში ყოველსავე სახელმწიფო გარდასახადს მცხოვრებნი ფულად იხდიან, თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროს გარდა, სადაც გადასახადი ხალხს სულადითაც ერთმევა. ახლა „Рус. Вѣд.“-ი ამბობს, ხმა დადის, და მთავრობას განზრახვა აქვს ზოგიერთი სახელმწიფო ხარჯის გადახდა სულადით შემოიღოს მთელს რუსეთშიო.

— იმავე გაზეთში მოყვანილია 1891 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვეულებრივი შემოსავალი წარსულს წელს ყოფილა 891,594,321 მანეთი და 47 კაპ. (9.163,248 მ. 53 კაპ. ნაკლები მოსალოდნელზედ), არა ჩვეულებრივი შემოსავალი ყოფილა 37,200,888 მ. და 89 კ., ესე იგი 23,450,749 მ. და 89 კ. მეტი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ყველა შემოსავალი ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი წარსულს წელს 928.795,210 მ. და 36 კაპეიკი ყოფილა. ამას უნდა მიემატოს წინა წლების ხარჯთ-აღრიცხვიდგან დარჩენილი: ა) ჩვეულებრივის შემოსავლისა—4,187,268 მ. და 7 კაპ. და ბ) არა-ჩვეულებრივის შემოსავლისა—1,687,061 მ. და 21 კაპ. მაშასადამე, 1891 წლის შემოსავლის სრული ჯამი იქნება—934.669,539 მ. და 84 კაპ.

ჩვეულებრივი ხარჯი 1891 წელს ყოფილა—875,348,830 მ. და 80 კ. (მოსალოდნელზედ 23,540,190 და 20 კაპეიკით ნაკლები) და არა-ჩვეულებრივი — 240,297,872 მ. და 67 კაპ. (ესე იგი მოსალოდნელზედ 176,884,372 მ. და 67 კაპეიკით მეტი). ამ სახით ხარჯი სულ წარსულს წელს ყოფილა 1.115,646,703 მ. და 47 კაპ. ამ ციფირებიდგანა სჩანს, რომ სახელმწიფოს 1891 წელს ხარჯი—180,977,163 მ. და 83 კაპეიკით მეტი ჰქონია შემოსავალზედ.

— 4 ოქტომბერს „ნოვოდევიჩის“ სასაფლაოზედ აკურთხეს რუსეთის საიმპერატორო და სატეხნიკო საზოგადოების დამაარსებელ ე. ნ. ანდრეევის სახელობაზედ აგებული ძეგლი. ანდრეევმა მუშების სასარგებლოდაც იმოღვაწა და დააარსა პირველად საღამოს სასწავლებელი. ამ დღესასწაულის დროს ბევრმა წარმოსთქვა სიტყვა. სხვათა შორის ინსპექტორმა სატეხნიკო საზოგადოებისამ სამეცნიერო განყოფილებისამ ვ. ვ. მიხაილოვმა მიჰმართა იქ დამსწრე ამ სასწავლებლების დამთავრებულ და ახალ-მოსწავლე შეგირდებს და სთქვა: „ყოველ წელს, 4 ოქტომბერს, დაბადების დღეს ანდრეევისას, იარეთ ამ სასაფლაოზედ და განსვენებულის პატივისცემით აღიძერით და განიმტკიცეთ ის რწმენა, რომ ამ ქვეყნად უკეთესნი ისინი არიან, რომელთაც თავისის ცხოვრებით სხვისთვის სარგებლობა მოაქვთო. ადვილი არ არის ასეთი ცხოვრება, მაგრამ უასეთ ცხოვრებოდ-კი ადამიანი ვერ იადამიანებს, ვითარცა ღვთის მსგავსად და სახედ დაბადებული არსება ქვეყნადაო...

— რუსეთის ზოგიერთ დასურათებულ ჟურნალებს 1893 წლისათვის დიდად საქებური და მოსაწონი პრემია დაუნიშნავთ ხელმომწერლებისათვის. ეს პრემია ევროპის ზოგიერთ შესანიშნავ მწერალთა თხზულებანია.

ეს საქმე პირველად დაიწყო ჟურნალმა „Живописное Обозрѣніе“-მ, რომელსაც განუზრახავს მომავალ 1893 წლის ხელის მომწერთ უფასოდ დაურიგოს დასურათებული შექსპირის თხზულებანი, ნათარგმნი კონშინის მიერ ზოგი პროზად და ზოგი ლექსად. ნახატები გადაღებული იქმნება ცალკე ფურცლებზედ კაულბახის, პილოტისა, მაკოვსკისა, ბეკერისა და სხვების სურათებიდგან. ამ თხზულებათა კრებულში იქმნება მოთავსებული როგორც უკვე ცნობილი, აგრეთვე ჯერ გადაუთარგმნელი თხზულებანი შექსპირისა. ეს გამოცემა რამდენსამე წიგნად დაიბეჭდება ამ 8—9 თთვის განმავლობაში.

---

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** პეშტში დაიწყო თუ არა სესსია ავსტრიისა და ვენგრიის დელეგაციებისა, გრაფ კალნოკის დელეგატები კრიჭაში ჩაუდგნენ და პასუხი მოსთხოვეს გარეშე პოლიტიკის შესახებ, ცუდად მოიხსენიეს სამთა კავშირი, მერე ისიც იმპერატორ ვილჰელმის ვენაში მისვლის წინა დღეს, უთხრეს, გვაცოდინე, რა ხელშეკრულობა გაქვთ იტალიასთანაო და სხ. არას დროს არ აჰხირებიან ასე ძალიან კალნოკის, რომელიც ძალა უნებურად იძულებული შეიქმნა ეთქვა რამე გარეშე პოლიტიკის შესახებ და რითიმე დაეშოშმინებინა წათამამებული დელეგატები. მოგვყავს მოკლედ გრაფ კალნოკის მიერ ნალაპარაკევი.

მინისტრმა, ყოველთ უწინარეს, მადლობა გადაუხადა კომისიას გარეშე პოლიტიკის ნდობისათვის და შემდეგ განაცხადა, რომ ძნელია საზოგადო საპოლიტიკო მდგომარეობის შესახებ ამ ჟამად ითქვას რამე, იმას გარდა, რაც უკვე ითქვა ავსტრიის დელეგაციის კომისიაშიო. თუმცა-კი ისიც შეიძლება, რომ კიდევ მომეცეს შემთხვევა წვლილად ლაპარაკისა. სამთა მოკავშირე სახელმწიფოთა შესახებ ნათქვამი საზღვარ-გარეთ დიდს მოქმედებას იქონიებს, რადგან ყველა აშკარად დარწმუნდება, რომ ამ კავშირს აზრად მხოლოდ მტრის მოგერება აქვს. ისინიც-კი, ვისაც წინად ეჭვი რამ ჰქონდა ამის შესახებ, ისინიც-კი დარწმუნდნენ. ერნი თანდათან იმ აზრს დაადგნენ, რომ ეს სამ სახელმწიფოს კავშირი გვიცავს და გვიფარავს და მის მფარველობასა ქვეშე მშვიდობიანად შეგვიძლიან ჩვენის ქონებრივ კეთილდღეობის განკარგებაო. მე დარწმუნებული ვარ, რომ მერმისშიაც სამთა კავშირი სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნება. რაც შეეხება ინგლისსა და სერბიას, ამ სახელმწიფოთა სარგებლობა მოითხოვს, რომ უწინდელს პოლიტიკას არ უღალატონ. დარწმუნებით შეიძლება იმისი თქმა, რომ ეს სახელმწიფონი, განსაკუთრებით ინგლისი, თუმცა ამ სახელმწიფოში მთა-

ვრობა გამოიცვალა, შემდეგშიაც არ უღალატებენ თავისს უწინდელს პოლიტიკას. ეს, რასაკვირველია, ჩემი კერძო აზრია. არა მგონია, სერბიაშიაც ახალმა სამინისტრომ საქმეთა ვითარება შესცვალოს რითიმე ჩვენდა არ-მოსაწონად. რაც შეეხება ბოლგარიის ნოტას, ეს ნოტა საიდუმლოა, იმის გამო ჩემთვის არა უცნობებიათ-რა და ამიტომ არც ვიცი, რა პასუხს გასცემს ოსმალეთი. არც საჭიროა ოსმალეთს გამოველაპარაკოთ ამის შესახებ, რადგან იმან კარგად იცის, რა პოლიტიკასაც ვადგევართ ბოლგარიის შესახებ და იცის ისიც, რომ ბოლგარაის თანავუგრძნობთ. ამ საქმეში ჩარევა ორპირი მახვილია. არა მგონია, რომელიმე სახელმწიფო ჩაერიოს ამ საქმეში, და რომ ჩაერიოს კიდეც, არა გამოვა-რაო.

მლადოჩეხთა დასის დელეგატმა ეიმმა სთქვა, რომ კალნოკის მიერ განცხადებულს, ვითომ საქმე ასე კარგს მდგომარეობაში იყოს, სამხედრო მინისტრი უარ-ჰყოფსო. ერი, რასაკვირველია, მშვიდობიანობის დაურღვევლობას დიდად მოწადინებულია, მაგრამ მთავრობის მიერ ნახმარი საშუალება ამ მშვიდობიანობის მისაღწევად-კი არაფრად მოსწონს. სამთა კავშირი ავსტრიელთა უმეტესობასა სძულს, რადგან იგი უფრო უჭირვებს საქმეს და ტვირთად აწვება. ავსტრიას არაფერი სარგებლობა არა აქვს გერმანიის პირველობისათვის იბრძოლოს, პირ-იქით, იგი იმას უნდა იყოს მოწადინებული, რომ რუსეთს სავაჭრო ხელშეკრულობით შეეკრას. ჩეხების სიძულილი გერმანელთა მიმართ მთელის საუკუნეების შედეგი და ნაყოფია; რუსეთს-კი ისინი ავსტრიის ისტორიულ მტრადა სთვლიან. თუმცა სლავიანებს დიდად სდევნიან, ნახევარი ევროპა მაინც იმათ უჭირავთ. ის ტყუილი მოგონილია, ვითომ სლავიანებს ერთად შეერთება უნდათ პოლიტიკურადაო. სლავიანთა ყოველი ერი საკუთარს დამოუკიდებლობას არის მოწადინებული და სხვას არაფერს. ამიტომ ავსტრიას სლავიანებისაგან-კი არა აქვს შიში, შეერთებულ გერმანელებისაგან აქვს და უნდა უფრთხოდეს კიდეც ამას.

## წვრილი ამბავი

უნგრიაში უნდათ სავალდებულოდ გასცხადონ და დააკანონონ სამოქალაქო ქორწინება. ვატიკანი ძლიერ უკმაყოფილოა ამ ამბით. ავსტრი-უნგრიის სასულიერო წარმომადგენელი ვატიკანში, მთავარეპისკოპოსი ვასარი ერთ საათზედ მეტი იყო იმპერატორთან და ამ საგნის შესახებ ელაპარაკობდა.

— ამერიკელმა ა. მაკ-კონვილმა სადილად იხვი დააკვლევინა თურმე და იმის კუჭში ოქროს ქვიშა აღმოაჩინა. გაოცებულმა და გახარებულმა ამერიკელმა დანარჩენი 31 იხვიც დაჰკლა და იმათს კუჭშიაც იმდენივე იპოვა, რამდენიც პირველ იხვის კუჭში იყო. სულ იხვებში ნაპოვნი ოქრო გამოვიდა 387 პიასტრისა, ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, 472 მ. 14 კაპეიკისა. მაშასადამე, თითოეულ იხვის კუჭში ბედნიერს ამერიკელს უპოვნია 14 მანეთისა და 64 კაპეიკის ოქრო. ახლა მოხერხებულს ამერიკელს განუზრახავს გაამრავლოს იხვები ოქრო-ნარევს ნიადაგზედ და ამით სიმდიდრე შეიძინოს.

## დეპეშა

13 ოქტომბერი.

**ათინა.** დღეს აქ მოვიდა მემკვიდრე ცესარევიჩი და ხალხი დიდის ალტაცებით მიეგება.

**სტამბოლი.** რუსეთის ნოტას პასუხი აქედგან ფოსტით გაიგზავნა პეტერბურგს შაბათს, ელჩის ნელიდოვისა და სულთანის მოლაპარაკების მეორე დღეს. საპასუხო ნოტა პატარაა და ზრდილობიანად არის დაწერილი; ნოტაში ნათქვამია, რომ ოსმალეთი პატივსა სცემს და ყოველთვისაც დიდი პატივის მცემელი იყო ბერლინის ხელშეკრულობისა. „მართალია“ სტამბულოვი თავაზით იქმნა მიღებული, მაგრამ ამას საპოლიტიკო ხასიათი არა ჰქონია და არც არაფრით შეუცვლია დამოკიდებულობა სიუზერონ მთავრობისა და ვასალ სამთავროს შორის“. იმედია, ჩვენ მიერ არა ერთ გზის გულწრფელად და დაუფარავად ნათქვამი ნალაპარაკევი რუსეთს დაარწმუნებს, რომ ოსმალეთი წესიერად იქცევაო. ინგლისელები გადასხვაფერებით ჰბეჭდავენ ამ ნოტას თავიანთს გაზეთებშიო.

**კელნი.** „Koelnische Zeitung“-ის სიტყვით, სამხედრო კანონ-პროექტში საჭიროდ ჩათვლილია, რომ მშვიდობიანობის დროს ჯარი 1893 წლის 1 ოქტომბრიდგან 1899 წლის 31 მარტამდე ორთა შუა რიცხვით 492,068 კაცი იყოს წელიწადში; ქვეითა ჯარში ჯარის-კაცებმა საზოგადოდ 2 წელიწადს უნდა იმსახურონ; საიმპერიო ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იყოს აღნიშნული რიცხვი უნტერ-აფიცრებისა. პროექტის განმარტების წერილში ნათქვამია, რომ სამხედრო საპოლიტიკო ვითარება გერმანიისათვის არა სასარგებლოდ შეიცვალა და ამიტომ ამ სახელმწიფომ ყოველივე ღონე უნდა იხმაროს; წავიდა ის დრო, როდესაც გერმანია ძლიერი იყო და ჯარის რიცხვით სჭარბობდა სხვა სახელმწიფოებს; საფრანგეთს ომიანობის დროს გამოჰყავს 4.053,000 კაცი, რუსეთს—4.556,000 კაცი, ამიტომ გერმანიის ერმა, ყოველი სამხედრო ძალა და ღონე ეხლა უნდა გამოიჩინოსო. ერთ-ხანად 66.800,000 მარკის დახარჯვა დაგვჭირდება; ამ ფულში 61.000,000 მარკა 1893—94 წლებისათვის უნდა გადაიდოსო, დანარჩენი-კი შემდეგისათვისაო. ყოველ წლიურ ხარჯად საჭიროა 64 მილიონი მარკა, ამაში პირველ ხანისათვისვე 58.500,000 მარკა უნდა გადაიდოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,01 | 8,04 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 | 161 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 191¾ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

**ფოთიდგ გადისან:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ლ საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | . |
| მე-3 „ „ „ | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 6 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. | გ. | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | „ |


## განცხადებანი

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—122)

## ფოთის ქალაქის გამგეობისაგან

ფოთის ქალაქის გამგეობა, რაკი 29 სექტემბერს არ შესდგა ვაჭრობა, კვლავ მოიწვევს მსურველთ ვაჭრობაზედ, რომელიც დანიშნულია გამგეობის სადგურში 1892 წლის 10 ნოემბერს, შუადღსი 12 საათზედ. ამ ვაჭრობაზედ უნდა გაიცეს იჯარით გაკეთება გზა-ტკეცილისა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ვოგზალსა და ფოთის ნავთ-სადგურის (პოსტს) შუა, სიგრძით 805½ საჟენი უკვე დამტკიცებულის ხარჯთ-აღრიცხვით 21,355 მან. და 1 კაპ.—ვაჭრობას, რომელსაც კანონით დაწესებულია, განმეორებული ვაჭრომა უნდა მოჰყვეს სამს დღეს შემდეგ, შეიძლება მონაწილეობის მიღება სიტყვიერადაც და დაბეჭდილ განცხადების შემწეობითაც.

პირობა ამ იჯარისა, დახატული პლანი და დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა შეიძლება ჰნახოს მსურველმა ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე უქმე დღეებ გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვისაც სურს შემოვიდეს ვაჭრობაში, ვაჭრობის დღეს, 12 საათზედ უნდა წარმოადგინოს 5% გამოცხადებულის საიჯარადრო ფულისა ნაღდ ფულად ან სარგებლიანის ქაღალდებით ჯარიმის უზრუნველ საყოფელად.

დაბეჭდილი განცხადებანი უნდა წარმოდგენილ იქმნას ან გამოგზავნილი არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა იმ დღეს, რა დღესაც არის ვაჭრობა.

დამტკიცება ვაჭრობისა ფოთის ქალაქის საბჭოზეა დამოკიდებული. (3—1)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი. (30—7)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти, пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачествен ность матеріаловъ.

## ალ. ალ. თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—40)